



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ალუჩა



ალუჩა

ალუჩა (*Prunus vachuschtii*), მრავალწლოვანი ხეხილოვანი მცენარე ტყემლოვანთა ქვეოჯახისა.

უეკლოა. მისი სიმაღლე 10-13 მ აღწევს. სითბოს მოყვარულია. გვხვდება ზ. დ. 500-700 მ-მდე. მრავლდება თესლით და ვეგეტატიურად. საადრეო სუფრის ხილია, აქვს თხელი და ნაზი კანი, ნაყოფის წვენი სუსტი მჟავიანობა ახასიათებს. საქართველოში უხსოვარი დროიდანაა ცნობილი. მოჰყავთ ა-ის 2 ჯიში - მეჩიბუხე და იმერული.

ნ. ბრეგაძე
